ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად! # 37 (9977) • 15 oqtomberi • 2012 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

რას ფიქრობენ ოპოზიციის ლიდერები არჩევნების შემდგომ პერიოდზე

არჩევნებმა ჩაიარა, მოსახლეობის ინტერესი, ჩავლილი თუ მიმდინარე მოვლენების შესახებ არ შენელებულა

ნინო ნიკოლაიშვილი, მარი კოძოევი

კოტე შარაშენიძე *(„ქართული ოცნების" ოზურგეთის შტაბის ხელმძღვანელი)*: არჩევნები ჩატარდა ისე, როგორც უნდა ჩატარებულიყო, ძალიან აკადემიურად. ამის თქმა შეიძლება გურიის, ოზურგეთის მაგალითზე. გურულებმა, შეიძლება ითქვას, მაგალითი მისცა დანარჩენ საქართველოს არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების კუთხით. მე უფრო კარგ შედეგს ველოდი ჩვენს სასარგებლოდ, მაგრამ რამაზ ნიკოლაიშვილი იყო ჩამოსული ძალიან დიდი ფინანსებით ხალხის მოსასყიდად. მაგალითად, მრავალსულიან ოჯახებს პირდაპირ ფულს ურიგებდნენ.

— დააფიქსირეთ თუ არა გაყალბების ფაქტები?

— გაყალბების მცდელობები რა თქმა უნდა იყო, მაგრამ ამის შანსს არავის არ მივცემდით.

— რატომ არ მისცა ხმა გურულებმა ნაც. მოძრაობას?

— რაღაცას აკეთებდა ხელისუფლება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს არ იყო ხალხისთვის საკმარისი. ხელისუფლება არასწორი გზით მიდიოდა. არავის არაფერს ეკითხებოდნენ, ყველაფერში უხეშად ერეოდნენ. ამიტომ მიიღო გადაწყვეტილება ხალხმა და მოიშორა ნაციონალური ხელისუფლება.

შოთა გოგიბერიძე *(ეროვნული ფორუმი)*: საზოგადოებამ სწორად შეაფასა ცხრა წლის განმავლობაში ნაციონალური მოძრაობის საქმიანობა და მისგან მიღებული შედეგები. ჩვენ მოსახლეობასთან მჭიდრო კონტაქტი გვქონდა წინასაარჩევნო პროცესში. კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმა ამომრჩეველთან იყო უშუალო შეხვედრები. სოფლებში დაბებში და ა.შ. შეკითხვაზე გაუმჯობესდა თუ არა თქვენი მდგომარეობა ამ 9 წლის განმავლობაში მოსახლეობისგან ვიღებდით მხოლოდ ერთ პასუხს, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდა კი არა, გაუარესდა. აქ საკითხი ასე კი არ იდგა, დაუჭერდა თუ არა ხალხი ნაც. მოძრაობას მხარს, არამედ საკითხი იდგა, ეყოფოდა თუ არა გამბედაობა ადამიანებს აშკარად ან თუნდაც საარჩევნო კაბინაში დაეფიქსირებინათ თავისი პოზიცია. მეამაყება, რომ ჩვენმა მოსახლეობამ გურულებმა გამოიჩინა გამბედაობა და ხმა მისცეს საკუთარი ოჯახებისა და შვილების მომავალს, ქვეყნის სწორად განვითარების გეზს, რასაც იმთავითვე უსახავდა საზოგადოებას ბატონი ბიძინა ივანიშვილი და კოალიცია „ქართული ოცნება". მათ დაუჭირეს მხარი „ოცნებას", ზვიად კვაჭანტირაძეს, ბრწყინმალე ოზურგეთელს, ნიჭიერ ადამაინს, რომელიც მე მჯერა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ოზურგეთლების ყოფა საგრძნობლად შეიცვალოს უკეთესობისაკენ.

გვ-2

ცენტრალური საარჩევნო კომისიის 12 ოქტომბრის სხდომის შედეგები

12 ოქტომბრის სხდომაზე, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ „ზოგიერთ საარჩევნო უბანში საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის მაჟორიტარული სისტემით არჩევნების განმეორებით კენჭისყრის დანიშვნის თაობაზე" ცვლილებები და დამატებები შეიტანა; შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის მაჟორიტარული სისტემით არჩევნების განმეორებითი კენჭისყრა 2012 წლის 14 ოქტომბერს დამატებით დაინიშნა №35 ხაშურის საარჩევნო ოლქის ოთხ – №1, №2, №9, №13 საარჩევნო უბანში.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის 10 ოქტომბრის სხდომაზე და ასევე, დღეს მიღებულ – №455/2012 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე განმეორებითი კენჭისყრა დაინიშნა.

№13 სიღნაღის საარჩევნო ოლქის – №5 საარჩევნო უბანში;

№32 გორის საარჩევნო ოლქის – №4 საარჩევნო უბანში.

№35 ხაშურის საარჩევნო ოლქის – №1, №2, №3, №8, №9, №10, №13, №45, №46 საარჩევნო უბნებში.

№13 სიღნაღის საარჩევნო ოლქის №5 უბანში კენჭისყრას გამართავს იმავე ოლქის №31 საუბნო საარჩევნო კომისია, №35 ხაშურის საარჩევნო ოლქის №45 უბანში კი – №7 საუბნო საარჩევნო კომისია. რაც შეეხება №35 ხაშურის საარჩევნო ოლქის №10 საარჩევნო უბანს, კენჭისყრას, ამავე ოლქის №52 საუბნო საარჩევნო კომისია ჩაატარებს.

თამუნა შავაძე კვლავ ელოდება კეთილ ადამიანებს

ნინო ნიკოლაიშვილი

დიდი, ნათელი თვალებით, სევდიანი ცქერითა და მაინც დიდი შინაგანი რწმენით მოვიდა დღემდე ბევრმა იცის თამუნას სევდიანი ისტორია. უკვე რამდენიმე წელია ეტლსმიჯაჭვული გოგონა სწორედ ძლიერი რწმენისა, და იმ ადამიანთა გულისხმიერებით მოვიდა დღემდე, ვინაც ოდნავ მაინც იზრუნა მისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამაზეც არაერთხელ დაიწერა. არც თამუნა დარჩენილა უმადური. თუმცა გასაკვირი ის იყო, თამუნას ოჯახს პოლიტიკურ საფეხურებზე რომ განუმწესა ადგილი, „სოფლის ყოვლისშემძლე მთავრობამ", აქაოდა თავისი გასაჭირის შესახებ ჩვენს უნებართვოდ როგორ გაბედეს ხმამაღალი საუბარიო და... „მალემსრბოლი" აფრინეს ზემოთ". ჯერ „რუსთავი 2"-ის საქველმოქმედო გადაცემის „ვის უნდა 20 ათასი" რიგიდან ამოიღეს, იმ მიზეზით, მაინც არაფერი ეშველებაო. არავის მოუკითხავს, მისი მდგომარეობის განმეორებითი შესწავლა, იმედის პატარა ნაპერწკალიც წაართვეს მაშინ. სოციალურ დახმარებას ჯვარი სწერია, შესაბამის კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებდა მისი ოჯახი, მშობლების მუხლმოუყრელი შრომით მიღებულმა სარჩომ გადაწყვიტა ქულათა რაოდენობის ბედი, გოგონას უმძიმესი მდგომარეობაც ამ უკანონო კანონში მოაქციეს.

პერიოდულმა მკურნალობამ გარკვეული შედეგები გამოიღო, თუმცა საბოლოო შედეგებამდე მისვლა მათი ოჯახის თქმით, საკმაო რაოდენობის თანხასთანაა დაკავშირებული.

თამუნას ახალ ეტლს და კომპიუტერსაც შეჰპირდნენ, თუმცა არც ერთი მიუღია და არც მეორე. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შეხვედრაზე ოზურგეთის დემოკრატიული განვითარების ცენტრში, როცა მავანნი თავს იწონებდნენ თავიანთი „კეთილშობილური" საქმეებით, თამუნამ თავისი მოსაზრებები გამოთქვა. — შეხვედრიდან რომ გამოვედი, მაშინვე ვთქვი, მე არც კომპიუტერს მომცემენ და არც ეტლს. ეტლი მასთან ერთად უნდა მიეღო თამუნა ლურსმანაშვილს.

„ალიონს " შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეაბილიტაციის ცენტრის ხელმძღვანელი, ბატონი რომან ლომაძე დაუკავშირდა, გვითხრა, რომ თამუნა ლურსმანაშვილს უკვე გადასცეს ახალი ეტლი.

თამუნას, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ილია ვაშაყმაძეც დაპირდა, 20 სექტემბრამდე 500 ლარით დახმარებას, არც ეს აღმოჩნდა სიმართლე.

გთავაზობთ ამონარიდს წერილიდან, რომელიც ერთ-ერთმა უცნობმა ახალგაზრდამ სახელად ბაჩომ გამოუგზავნა გოგონას. (რამდენიმე თვის წინ ეტლსმიჯაჭვული ბაჩო საოპერაციოდ ისრაელში გადაიყვანეს. ამჟამად მისი მდგომარეობა მთლიანად შეცვლილია. მან ფეხზე გავლა შესძლო. წერილი ოპერაციამდეა დაწერილი. — ხშირად ვკითხულობ წერილს, იმედი რომ არ დავკარგო, გვითხრა გოგონამ.)

—„მეც შენებრ მომიხდა და მიხდება იმ სიმძიმის ტარება, რომელიც ცხოვრებამ გვიბოძა. მთავარი ისაა თამუნა, რომ სიცოცხლე შეგვიძლია. მთავარი ისაა, ჩვენს ახლობლებს, ჩვენს საყვარელ ადამიანებს ვხედავთ, ვეფერებით, მათ სუნთქვას ვუსმენთ და ისინი ჩვენს გვერდით ტრიალებენ. ჩვენ ძლიერები ვართ, ჩვენ ყველაფერს უნდა გავუმკლავდეთ, ჩვენ უფალი არ გაგვწირავს, რადგან მან გამოგვიგზავნა სულიერად ძლიერ ადამიანები..."

თამუნაც ამ ადამიანებს ელოდება და ცხოვრებას იმედით შეჰყურებს.

7 დღის ამინდის პროგნოზი

15 ოქტომბერი, ორშაბათი	16 ოქტომბერი, სამშაბათი	17 ოქტომბერი, ოთხშაბათი	18 ოქტომბერი, ხუთშაბათი	19 ოქტომბერი, პარასკევი	20 ოქტომბერი, შაბათი	21 ოქტომბერი, კვირა
მზე, +14+28	მზე, +14+26	მზე +15+27	მზე +15+27	მზე, ღრუბელი +16+25	მზე, ღრუბელი1 15+24	წვიმა +11+18

რას ფიქრობენ ოპოზიციის ლიდერები არჩევნების შემდგომ პერიოდზე

თემურ სალუქვაძე (თავისუფალი დემოკრატები):

– პირველ რიგში მადლობა მინდა ვუთხრა ქართველ ხალხს განსაკუთრებით გურულებს. 2012 წლის 1 ოქტომბერი ისტორიაში შევა, როგორც განსაკუთრებული თარიღი. ქართველმა ერმა ხმა მისცა ღირსებას, ქვეყნის კეთილდღეობას, განვითარებას, – დემოკრატიულ განვითარების პროცესს და სამართლის აღდგენას, ამით ჩვენი ავტორიტეტი მსოფლიოს თვალში გაცილებით ამაღლდა. ჩვენ გავიზარდეთ პოლიტიკურად.

თუ როგორ წარმოაჩინა საკუთრი თავი ნაც. მოძრაობამ, მიხეილ სააკაშვილმა არა მარტო არჩევნების დღეს, წინასაარჩევნო პერიოდშიც, ეს ჩვენ ძალიან კარგად ვიცით. რა გადაწყვეტილებები იქნა საკანონმდებლო დონეზე მიღებული. შეზღუდული იყო მედია სივრცე, უსამართლოდ აპატიმრებდნენ ოპოზიციური აზრის მქონე ადამიანებს, აქტივისტებს, იყენებდნენ ადმინისტრაციულ რესურსს. ნაც. მოძრაობამ და სააკაშვილმა ქვეყანა გამოიყვანა სამართლებრივი ჩარჩოდან ყველა მიმართულებით. არჩევნები ყალბდებოდა არა არჩევნების დღეს, არამედ წინასაარჩევნო პერიოდში. არჩევნების დღესაც ვიცით, რა ხდებოდა ქვეყნის მასშტაბით, მაგალითად სამეგრელოში საამქრო ჰქონდათ პირადობის მოწმობების გასაყალბებლად. ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ყველა ხერხი იქნა გამოყენებული, მაგრამ იმდენად დიდი იყო გამარჯვების იმედი და პირველ რიგში სურვილი, რომ ხალხმა თავისი სიტყვა თქვა, დიდი რაოდენობით მივიდა ამომრჩეველი არჩევნეზე.

მე გავიმეორებ ბიძინა ივანიშვილის სიტყვებს. როცა გურიაში ჩამოვიდა თქვა - პირველებმა გურულებმა უარყვეს სააკაშვილიო. გურულები მართლაც გამოირჩევიან პოლიტიკისადმი ინტერესით. ამიტომაც ჩვენ მაღალი მონაცემებით გავიმარჯვეთ.

საარჩევნო პერიოდი არც იყო დაწყებული, როცა ნიკოლაიშვილს მივმართავდი, რომ არ იცნობდა გურულებს, მარტო თავის ხელქვეითებს იცნობდა, ამიტომ მას არასწორი წარმოდგენა შეექმნა გურულებზე. საარჩევნო პერიოდშიც მე მას შევთავაზე, თუ უნდოდა ოზურგეთლებს მისგან ერთი ღირსეული საქმე დარჩენოდათ, უნდა მოესწნა კანდიდატურა. ეს პირველ რიგში კარგი იქნებოდა მისთვის. თორემ ჩვენთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმიტომ, რომ მაინც გავიმარჯვებდით, რადგან ჩვენი ბრძოლა იყო სამართლიანი, ბრძოლა მიმდინარეობდა სიკეთესა და ბოროტებას შორის.

პრეზიდენტმა უდიდესი ტყუილი იკადრა, როცა წლევანდელი წელი გურიის აღორძინების წლად გამოაცხადა და გურიის აღორძინების ფონდის ჩამოყალიბების შესახებ ამცნო გურულებს. ეს ყველაფერი აღმოჩნდა ფარსი. არავითარი ფონდი არ ყოფილა ჩამოყალიბებული ეს არის ტყუილი, რაც ჩვევია ნაც მოძრაობას.

რა თქმა უნდა ჩვენ ბევრი სირთულეები გვქონდა. საერთოდ კოალიციური ცხოვრება რთულია. მაგრამ ჩვენი ამოცანა იმდენად დიდი იყო და მნიშვნელოვანი, რომ ეს ყველაფერი დარეგულირდა და პოლიტიკურად გამართულად, შეთანხმებულად მოქმედებაში გამოიხატა. ჩვენი და ჩვენი ლიდერის დაპირება საქართველოსადმი აუცილებლად შესრულდება იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილის სიტყვის ფასი იცის არა მარტო საქართველომ, მსოფლიომ.

– არის საუბარი რომ „ოცნება" გამარჯვების ეიფორიაშია, ამ დროს ხელისუფლება კვლავ განაგრძობს უკანონო გადაფორმებებს და უკანონო ქმედებების და გადაწყვეტილებების შეფუთვას.

– ამის შიში არ უნდა გვქონდეს. არაფერი არ იმალება. გავიმეორებ ბატონი ბიძინას სიტყვებს. ჩვენ არ ვართ რევანშისტული ძალა. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის აღმშენებლობაში.

– თუმცა საზოგადოება რადიკალურ საკადრო ცვლილებებს, კანონდამრღვევთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მოითხოვს.

– ადმინისტრაციულ სტრუქტურებში ძალიან ბევრი პროფესიონალი ადამიანი მუშაობს. ვინც პატიოსანია, პროფესიონალია ის ჩვეულებრივად გააგრძელებს მუშაობას. მაგრამ ყველა ადამიანს, ვინც არჩევნების გაყალბებაში მიიღო მონაწილეობა და სამართალთან აქვს პრობლემა თავისუფალი სასამართლოს წინაშე აგებს პასუხს. არცერთი საკითხი გაურკვეველი არ დარჩება.

– არჩევით თანამდებობის პირებზე რას გვეტყვით, რომლებსაც მუშაობის ვადა არა აქვთ გასული.

ეს პარლამენტის პრეროგატივაა. არავითარ პოლიტიკურ კრიზისს არ უნდა ველოდოთ. კონკრეტულად ვერ გაგცემთ პასუხს ამის არც უფლება მაქვს და არც პროფესიული საფუძველი. მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ყველაფერი მოხდება კონსტიტუციურად. არის საუბრები, რომ რამდენიმე თვეში შეიძლება ნაც. მოძრაობა კვლავ დაბრუნდეს ეს აფსურდია. ხალხმა უკვე გააკეთა თავისი არჩევანი.

–გამორიცხულია პრეზიდენტმა დაითხოვოს პარლამენტი?

– თქვენ თვლით რომ ის პრეზიდენტია? ეს არ არის ის მიხეილ სააკაშვილი რომელიც იყო.

გავრცელდა ინფორმაცია რომ შეიძლება საკრებულოს თავმჯდომარედ დაინიშნოთ.

– მეც მსმენია ამის შესახებ. ბუნებრივია გამარჯვების შემდეგ ადამიანები ასოცირდებიან რაღაც პოსტების დაკავებასთან. ბევრ ჭორს ვიგებ ჩემი და ჩემი თანაგუდელების სხვადასხვა თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.

– შიდა სამზარეულოში გადაწყვეტილია ვინ რა პოსტს დაიკავებს?

– ეს მარტო ოზურგეთში გადასაწყვეტი საკითხი არ არის. პარლამენტის პირველი სხდომისა და მინისტრთა კაბინეტის დამტკიცების შემდეგ განიხილება რეგიონალური მოწყობა. მე ისიც არ მგონია, რომ ნაციონალური მოძრაობის სიით მოსული ადამიანებიც ნაც. მოძრაობას უჭერდნენ მხარს. სავარაუდოდ ბევრი მოძრაობა იქნება პარლამენტშიც.

– ნაც. მოძრაობა 1000 ლარიან ვაუჩერს დაპირდა ხალხს და ახლაც ამბობს, რომ ამის საშუალებას ბიუჯეტი იძლევა რასაც უარყოფს მომავალი ხელისუფლება. ამაზე რა გვეტყვით?

ნაციონალური მოძრაობა მხოლოდ პირდებოდა და არ ასრულებდა, მის უკან ფინანსური გარანტიები არ იდგა ეს იყო პოპულიზმი. რომც მოსულიყვნენ ხელისუფლებაში, ვერ განახორციელებდნენ დაპირებას. მათთვის მთავარი იყო საზოგადოების თვალის ახვევა და ცდუნებაში შეყვანა, რომ მხარი დაეჭირათ მათთვის. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა. ახლა მიმდინარეობს გადაბარების პროცესი და მალე გავიგებთ სინამდვილეში რა რესურსი გაგვაჩნია. მოვლენებს უნდა დაველოდოთ. მთავარი ისაა, რომ „ქართული ოცნების" დანაპირები აუცილებლად შესრულდება.

ხალხის მიერ არჩეული წინა ხელისუფლება მხოლოდ „ნაციონალების" ინტერესების გამტარებლები არიან

ეს ამ არჩევნებმაც დაადასტურა. დანიშნული თუ არჩეული ხელისუფლება არა ხალხის სამსახურში, არამედ ერთი კონკრეტული პარტიის –„ნაციონალური მოძრაობის"სამსახურში იყო. საზოგადოებას დღემდე არ აქვს პასუხები კითხვებზე:–რისთვის შეიქმნა გურიის განვითარების ფონდი, რა რესურსები იყო მოზიდული და რას მოხმარდა ფონდის რესურსი; რატომ არ შესრულდა ის აქტივობები, რაც ადგილობრივი ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული; ვინ გადაუხდის ხელფასს წინასაარჩევნოდ დანიშნულ ასეულობით ადამიანს, რომლებიც სხვადასხვა საბიუჯეტო სამსახურებში დაინიშნენ და მათი უმეტესობა საარჩევნო პროცესებში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი;

როგორც არჩევნების შემდგომი მოვლენები აჩვენებენ, ხელისუფლება კვლავ „ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებად აპირებს დარჩენას და კვლავ აგრძელებენ „ნაცმოძრაობის" გამორჩეული აქტივისტებს (ფაქტორი: არჩევნების გაყალბებაში შეტანილი წვლილისათვის, პრეზიდენტთან შეხვედრებზე აქტიურობისათვის, ჟურნალისტების და „ქართული ოცნების" აქტივისტების დევნისთვის და ა.შ.) კვლავ „ასაქმებენ." ამით აქტივისტებს „შრომას"უფასებენ და მომავალ ხელისუფლებას პრობლემებს უქმნიან:– ჩვენ „დავასაქმეთ" თქვენ კი ვერ აფინანსებთო...

ერთ-ერთ გასვლით ქეიფზე „ნაციონალებს" ასეთი სადღეგრძელო „წამოცდენიათ;" „ექვსი თვის შემდეგ ჩვენს ხელისუფლებაში დაბრუნებას გაუმარჯოსო..." როგორც ჩანს, მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება" რეალურ საქმეებზე გადავიდა, ნაციონალებმა დაიწყეს ოცნება.

იოცნებონ!

„ლახვარი"

რა ბედი ელის ქალაქის ცენტრში აღმოჩენილ ძველ აბანოებს?

გაზეთი „ალიონი"

ქ. ოზურგეთში, 1957 წლის ოქტომბერში, ქალაქის ცენტრალური მოედნის კეთილმოწყობის სამუშაოების დროს აღმოჩნდა 400 კვადრატულ მეტრზე განლაგებული ძველი აბანოების ნაშთი. ამის შესახებ ჩვენს გაზეთში გაცილებით ადრე არქეოლოგი გერმანე გოგეჯიშვილი წერდა. 1957 წლის 24 ნოემბერს გაზეთ „ლენინის დროშაში"დაიბეჭდა ისტორიკოსების ნინო ხოშტარიას და გივი თავაძის წერილი „ძველი აბანოების ნაშთები ქ. ოზურგეთში."

აღნიშნულ სტატიაში ეწერა: „როდესაც ვახუშტი ეხება გურიელების სასახლეს, მხედველობაში აქვს მოედნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სამსართულიანი სასახლის ნაშთი, რომელმაც განიცადა რეკონსტრუქცია. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ქ. მახარაძეში აღმოჩენილი აბანოს ნაშთები იყოს დიუბუას მიერ XIX საუკუნის დასაწყისში ნახახი გურიელის აბანოს ნაშთები. ასევე არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ეს აბანო გვიან ანტიკური, ან ფეოდალური ხანისა იყოს, როგორც, მაგალითად, ახლომდებარე ვაშნარის ნაქალაქევი, რადგან დიმიტრი ბაქრაძე, რომელმაც ვაშნარი 1873 წელს ნახა, აღნიშნავდა, რომ აქ ყველაზე უფრო არის შენახული აბანოები."(გაზ. „ლენინის დროშა,"24. XI. 1957 წ. №139.).

ჩატარდა პირველი გათხრები, მაგრამ კომუნისტებმა რესტორანი „იზაბელას"მშენებლობა წამოიწყეს და გურიის ისტორიას დროებით მიწა მიაყარეს

2012 წლის დასაწყისში, იუსტიციის სახლის მშენებლობისას ოზურგეთის ისტორიას გაუჩნდა შანსი, რომ წარსულს ფარდა ახდოდა. სამწუხაროდ, მშენებლები შეეცადნენ, წარსული დაეფარათ.

ოზურგეთის საზოგადოებამ (გაზეთები „ალიონი," „გურია ნიუსი," პოლიტიკური პარტია „თავისუფალი დემოკრატები") მძლავრი პროტესტი გამოთქვა ძველი აბანოების ნაშთებზე მშენებლების მიერ განხორციელებული ვანდალური ქმედებების გამო.

საზოგადოების აქტიურობას შედეგად ის მოჰყვა, რომ გაზაფხულზე აქ არქეოლოგიური გათხრები დაიწყო. არქეოლოგებმა ვაჟა სადრაძემ, მერაბ ძნელაძემ და სხვებმა პირველი ეტაპის სამუშაოები ჩაატარეს.

„ნაციონალურმა" ხელისუფლებამ საზოგადოება დაარწმუნა, რომ გათხრები გაგძელდებოდა და ამასთანავე ზაფხულში გურიანთა-ვაშნარის გათხრებსაც დაიწყებდნენ, თუმცა არანაირი გათხრები არ უწარმოებიათ.

იუსტიციის სახლის გახსნისას, . პრეზიდენტს არ უნახავს ძველი ნაგებობების გათხრები, პრეზიდენტის დაცვამ არქეოლოგიური გათხრების ადგილზე არ შეუშვეს არქეოლოგები (?!)...

გასულ ხუთშაბათს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში საზოგადოების დისკუსია გაიმართა ოზურგეთში აღმოჩენილი აბანოების თემაზე.

ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მცველმა მანანა ლომაძემ უძველესი აბანოების ისტორიაზე ისაუბრა. ამ თემაზე გამოვიდა ძეგლთა დაცვის სააგენტოს წარმომადგენელი დავით ხურციძე.

გაზეთ „ალიონის" რედაქტორმა ნუგზარ ასათიანმა ისაუბრა საზოგადოების აქტივობაზე უძველესი არქეოლოგიური ნაგებობის გადასარჩენად.

მან მოიყვანა ასეთი ფაქტი:– არქეოლოგიური გათხრების დაწყებამდე ოზურგეთის საკათედრო ტაძარში გაიმართა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ: ბათუმ შემოქმედელი ეპისკოპოსი მეუფე იოსები, იმჟამინდელი რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი, ძეგლთა დაცვის სააგენტოს უფროსი ნიკა ვაჩეიშვილი, გურიის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი ვაჟა სადრაძე და არქეოლოგი მერაბ ძნელაძე.

რამაზ ნიკოლაიშვილი და ნიკა ვაჩეიშვილი შეპირდნენ არქეოლოგებს გათხრეს დააფინანსებდნენ. რამაზ ნიკოლაიშვილმა თქვა: –„ჩვენ გადამგდები ხომ არ ვართ, ეკლესიაში მოგატყუოთო."გათხრების პირველი ეტაპის სამუშაოების დასრულების შემდეგ, ნიკა ვაჩეიშვილმა მუშებს ხელფასი გადაუხადა მხოლოდ.

აღინიშნა, რომ ბეტონის ბლოკებით არქეოლოგიური გათხრების შემოზღუდვის სამუშაოები არასწორად დაიწყო და დროულად უნდა გამოსწორდეს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა თემურ სალუქვაძემ ისაუბრა, თუ რა როლი შეასრულა მათმა პარტიამ და ოზურგეთის საზოგადოებამ იმაში, რომ უძველესი აბანოების ნაშთები გადაერჩინათ.

ასევე ითქვა, რომ ყოვლად გაუმართლებელია არქეოლოგიური გათხრების მიმდებარედ ტუალეტის გახსნა, რომელიც სუვენირების მაღაზიად უნდა გადაკეთდეს.

საბოლოოდ დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ხელმძღვანელმა გიგი მახარაძემ შესთავაზა დისკუსიის მონაწილეებს, რომ მოამზადონ მიმართვა, რომელიც აღნიშნულ პრობლემას მოაგვარებს.

ტრეფიკინგი - საშინელება საშინელებათა შორის!!!

თემურ ბაქანიძე

გაზეთ „ალიონის“ 4 ივნისის ნომერში, დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი სტატიას ტრეფიკინგის თემაზე. სტატია დაიბეჭდა, მაგრამ არა მგონია მას რაიმე შეეცვალოს. საერთოდ, ასე ყოფილა ეს ცხოვრება აწყობილი, თუ საკუთარ თავზე არ გამოსცადა ადამიანმა უბედურება, სხვისი ან ნაკლებად ტკივა, ან საერთოდ არა...ჩვენ კი, ეს ვერ შევძელით - პირადად ვინახულეთ ადამიანი, რომელიც გადაურჩა „ადამიანის ადამიანობის მჭამელთ“ და , თურქეთში წასული, 2 კვირის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებული, ნერვულ სისტემა მოშლილი და თვალებში სამუდამოდ ცრემჩამდგარი დაუბრუნდა საქართველოს.

- ოზურგეთს...დიახ, ნუ გაგიკვირდებათ ოზურგეთლებო, ეს ადამიანი ოზურგეთელია და მეტსაც გეტყვით, ოზურგეთლები არიან ისინიც, ვინც ეს ქალბატონი სტამბულში სულიერად მოსპო და გაანადგურა... გეთანხმებით-ძნელია, როცა ადამიანი დიდი სიყვარულით ოზურგეთს იფიცებ და ამ დროს გაიგებ, რომ არიან ადამიანები ჩვენს გვერდით-ჩვენს ოზურგეთში, რომლებიც ფულის გულისთვის მზად არიან თავისუფლება წაართვან, მომავალი ცხოვრება სამარცხვინო მონობად გადაუქციონ და საერთოდ გააქრონ ჩვენი ცხოვრებიდან ჩვენი დები, დედები და შვილები...

ჩვენ ვერ შევძელით იმ შეშინებული სახის დავიწყება, როცა გვიყვებოდა ნაწილობრივ, რაც იქ შეემთხვა. ვერ შევძელით-სიზმარშიც არ მომასვენა მისმა შიშითა და ცრემლებით სავსე თვალებმა. მასთან მისულებს, პირველი რაც თვალში მოგვხვდა, ნაირ-ნაირი წამლებით სავსე მაგიდა იყო, რომლების უმრავლესობაც ნერვიული სტრესისა და ფსიქიკური აშლილობის დამაწყნარებელი იყო.

— სამწუხაროდ ექიმმა მითხრა, რომ თავის ტკივილები სამუდამოდ დაგრჩებაო,- გვითხრა სევდიანი ღიმილით.

მის ღიმილს არ გააჩნდა არავითარი სითბო და არავითარი ადამიანობა-ჰო, არ გაგიკვირდეთ, მას მხოლოდ სახე შემორჩა ადამიანის, რომელიც ღრმა ნაოჭებსა და უზომო შიშს ყავს შეპყრობილი. მზარავდა იმაზე ფიქრი, რომ ეს ადამიანი, ჩვენი-თქვენი და და ერთი პატიოსანი მამაკაცის მეუღლე, ოჯახის გაჭირვების გამო, 13 აპრილს სახლიდან ჯანმრთელი წავიდა და ზუსტად ორ კვირაში-27 აპრილს, სახლში სამუდამო ავადმყოფი დაბრუნდა!!! შოკირებული დავრჩით მე და რედაქციის უფროსი იმ ფაქტით, რომ ხალხი, ვინც გაამწარა ეს ადამიანი და ვის ტყვეობასაც მან თავი დააღწია, არიან ოზურგეთლები-ქალებიც და კაცებიც...ბოღმამ დამახრჩო, როცა ქალბატონმა ტირილით მითხრა, რომ ერთმა მათგანმა (მამაკაცმა) ხელიც გამარტყაო!!!

როცა მათ ტყვეობას თავი დააღწია და ორი ხანში შესული მეგრელი მამაკაცის დახმარებით საქართველოში ჩამოვიდა (ინფორმაცია შემოწმებულია-პირადად ველაპარაკეთ ორიდან ერთს და დაგვიდასტურა, რომ დაეხმარა თურქეთიდან გამოპარვაში), ინტერნეტით მიაკვლიეს ოზურგეთელმა „მამაშებმა და პაპაშებმა“ და დაემუქრნენ, თუ სიტყვას იტყოდა მათ წინააღმდეგ, მოსპობდნენ და ქმარს ცოცხლად დაუმარხავდნენ...

ტირილს ნაჩვევი არა ვარ და ახლა, როცა ვწერ ვიცინი, მაგრამ ეს სიცილი დასათაურებულია-მას სიმწრის სიცილი ჰქვია-ჰმ!!! ჩემს-თქვენს ოზურგეთში ცხოვრობს ხალხი, ვისაც ხელზე ასდის ფულის სანაცვლოდ გაამწარონ ისედაც ცხოვრებიდან გამწარებული ადამიანები...

— **არიან იქ ქალბატონები, ვისაც აიძულებენ იყვნენ მონები და მეძავები? გეგულებათ იქ ხალხი, ვინც შველას ითხოვს?** -ვკითხე მას...

— ბევრი-ძალიან ბევრი,-იყო მისი პასუხი...

არ წავალ შორს და გეტყვით, რომ სოფელ ნატანებში შემიძლია გაჩვენოთ 2 ოჯახი—ერთიდან წასული 10 წლის წინათ საერთოდ გაქრა(37 წლის ქალბატონი), მეორედან მოპარული (თბილისში) და გამზადებული გასაყიდად, 3 თვის შემდეგ დავუბრუნეთ საკუთარ ოჯახს...სურათი იქაც საშინელია: მას 12 წელია არ გაუცინია...ჰო-ჰო, არ გაგიკვირდეთ, ეს ჩვენთან ხდებოდა-საქართველოში ედუარდის დროს... კერძოდ რა? რა და 100 ლამაზ ქალბატონს მოუყრიდნენ თავს და პარტიებად ჰყიდნენ... მაგრამ რა შეიცვალა საკაშვილის დროს? რა და ეს ხალხი გავიდა საზღვრებს გარეთ და იქ ელოდებიან „კბილებ დაკრეჭილები“ ჩვენს დებს, დედებსა და შვილებს... მაინტერესებს, იცით, თუ არა, რა ელოდებათ მათ ხელში ჩავარდნილ ადამიანებს? ყველაზე კარგ შემთხვევაში მეძავობა...რა შეიძლება იყოს უარესი? ამაზე მაშინ ჩავფიქრდი, როცა ინტერნეტში წავიკითხე, რომ მარტო შტატებში ორგანოს გადანერგვაზე 87 000 ადამიანი დგას რიგში-მარტო შტატებში!!! მთელი მსოფლიოს მასშტაბით მათი რიცხვი 500 000 აღწევს, ვინც გადაიხდის ყველანაირ თანხას, ოღონდ სიცოცხლე გაიხანგრძლივოს...ალბათ მიმიხვდით-ზოგს გული ჭირდება, ზოგს ღვიძლი, ზოგსაც თირკმელი და ა.შ...როცა ადამიანი ქრება ცხოვრებიდან, მაშინ ყველაფერი და ყველაზე ცუდი [illegible]

ორი ცხელი წერტილი არის ევროპაში, სადაც ქართველ ქალებს ყველაზე დიდი საფრთხე ემუქრებათ და სადაც ისინი ნაკლებად დაცულები არიან: თურქეთი და საბერძნეთი-სტამბული და ათენი.

საქმე იმაშიც არის, რომ გამწარებული ქალბატონების უმეტესობა ვერ ამბობენ სიმართლეს-რცხვენიათ და ეშინიათ.

ქალბატონმა „მ“ ყველაფერი დაწვრილებით აგვიხსნა, თუ რა ხდება და სად ხდება თურქეთში-ყველა ადგილი, ყოველი ქუჩა, კორპუსები, სართულები, ბინის ნომრები, სადაც ვითომ „დამსაქმებელი ბიუროები“, როგორ ამწარებენ ქართველ ქალებს. ვიცით, თუ როგორი „დაგეშილები“ ელიან საქართველოდან ჩასულ ავტობუსებს ქართველი „მამაშ-პაპაშები“ - ემინია ოტაგარი“-ში...ვიცით რა ხდება-აკსარაში, ასევე სირკეთში...ვიცით რა სურათი უნდა ვნახოთ საღამოს 10 საათის შემდეგ აკსარაის ხიდზე, სადაც „ქალების გამოფენა“ იწყება ამ დროს და ამ ქალებში არიან ისეთებიც, რომლებსაც პასპორტები წაართვეს, იძულებით გახადეს მეძავები და ისინი შველას ითხოვენ...ვიცით ქალბატონები, რომლებსაც ფუნთუშაზე უწვეთებდნენ „კლოფელინის“ წვეთებს და ამ წვეთებიდან თავდახსნილები უკვე „ბინძური“ ცხოვრების მონები იყვნენ...

ჩვენმა გაზეთმა იცის, თუ რა ხდება ათენში-ომონიას მოედანზე, როგორ იყიდება ჩვენი ქართველი ქალბატონების პატიოსნება და ხშირ შემთხვევაში თაღლითების-სატანების მიერ-ქართველების-ოზურგეთლების მიერ-ვითომ ქართველების მიერ, ვისაც სახე აქვთ მხოლოდ ადამიანის და ადამიანობის იქით, ჩვენს დედებს, დებსა და შვილებს რყვნიან, ნაწილებად ჭრიან და ორგანოებად ჰყიდიან...

ვინც ამ სტატიას წაიკითხავთ, ვიცი ბევრს გული დაგწყდებათ, ბევრი მოიწყენთ, ბევრი იტყვით, რომ „ყველას თავისი ბედის ვარსკვლავი აქვს“. მე გეთანხმებით, მაგრამ დავუშვათ, რომ ახლა-ამ წუთს ჩვენ ვართ მათი ბედის ვარსკვლავები და თუ არ ვიმოქმედეთ ისინი იღუპებიან ხ ა ლ ხ ნ ო ! ! ! ხ ა ლ ხ ნ ო ! ! !

ხომ არ მეშლება, განა ახლა თქვენც არ გაკანკალებთ ტანში ბრაზისგან? ვიცი ყველას თქვენი ცხოვრება გაქვთ, მაგრამ რა ვუყოთ იმ ქალბატონებს ვისაც რყვნიან და ანაწევრებენ?! არ ვთქვათ ოზურგეთლებმა ჩვენი სიტყვა? არ დავეცეთ მეხივით თავზე იმათ, ვინც ჩვენს მანდილს ჩირქი მოსცხო? არ ვიცი თქვენი, ჩემს კი გეტყვით: მე ამ საქმეს თავს შევწირავ და ბედნიერი ვიქნები, თუ ერთი მანდილოსანიც გადავარჩინე და დავუბრუნე საკუთარ ოჯახს... ჩვენი გაზეთი იწყებს კერძო ჟურნალისტურ გამოძიებას და ახლო მომავალში თქვენთვის ცნობილი გახდება, თუ რა სიტუაციაა თურქეთსა და საბერძნეთში...რისი იმედი მაქვს პირადად? ძალიან ადვილად გაგცემთ პასუხს: ერთ ქალბატონს მაინც გადავარჩენ და დავუბრუნებ საკუთარ ოჯახს-ერთ კერიას მაინც გავაახლებ და ბუხრის სადინარში კვამლს გამოვაშვებინებ...

ჩვენ ვიწყებთ კერძო ჟურნალისტურ გამოძიებას და ჩვენს ინტერესშია არ გავამყღავნოთ სახელები-გვარები და ადგილები, სადაც ეს უმსგავსო ფაქტები ხდება...ჩვენს ხელთ არის მასალები, რომლის მიხედვითაც საქართველოს ბევრ რეგიონშიც არის „წერტილები“, სადაც ქართველი ქალები „ხასად“ ქცეულები თურქებისა და ირანელების, „უვადო პატიმრობას“ გადიან...რა შემიძლია მათ დავპირდე ვინც იძულებაშია?

არაფერი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს გარდა...! ! !

წერილები რედაქციას!

რუსუდან გურული ლაშა ბაქრაძის განცხადებას ეხმაურება

რუსუდან გურული ისევე, როგორც ათასობით ჩვენი თანამემამულე წლების მანძილზე უცხოეთში იმყოფებოდა, რადგან აქ მისთვის ადგილი არ აღმოჩნდა. იგი უცხოეთიდან ეხმიანებოდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. ამჟამად იგი საქართველოში დაბრუნდა. გასულ ხუთშაბათს რუსუდანი რედაქციაში გვესტუმრა და გვთხოვა, მისი პოზიცია დაგვეფიქსირებინა ტელეკომპანია „მაესტროში“ ლაშა ბაქრაძის განცხადების გამო.

—ჩემი აღშფოთება გამოიწვია 6 ოქტომბერს „მაესტროს“გადაცემაში ლაშა ბაქრაძის განცხადებამ. საწყენი ის არის, რომ აქამდე იგი არ აფიქსირებდა თავის პოზიციას საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით და ახლა ქართული საზოგადოების დამოძღვრა დაიწყო.

—მაინც რა არ მოგეწონათ/

—პირველი, რაც მან ბრძანა, ის იყო, რომ საკაშვილის მთავრობასთან თურმე დიალოგში უნდა შევიდეთ და მასთან საერთო ენა უნდა გამოვნახოთ. დიალოგი გასაგებია, მაგრამ მაინც საინტერესოა, რას გულისხმობდა „საერთო“ენის გამონახვაში? მიმაჩნია, რომ საკაშვილთან ნებისმიერი დიალოგი გამჭირვალე უნდა იყოს.

მეორე ის იყო, რომ ლაშა ბაქრაძემ გაზეთ „ასავალ-დასავალს“ამაზრზენი გაზეთი უწოდა. არადა ეს გაზეთი ერთ-ერთი ნათელი წერტილი იყო, რომელიც „ნაცმოძრაობის“ინფორმაციის ვაკუუმს არღვევდა და სუფთა ჰაერის ძლიერი ნაკადი შემოჰქონდა საქართველოს ბევრ ოჯახში და იმედს უნერგავდა ჩვენს მოქალაქეებს, რომ ოდესმე ტირანიიდან გათავისუფდებოდნენ. ახლა კი ამ ბატონს სურს, ერთი კონკრეტული ფაქტის გამო (საზოგადოებების ნაწილი „ასავალ დასავალს“ გლდანის №8 საპყრობილეს თანამშრომელთა საცხოვრებელი მისამართების დაბეჭდვას უარყოფითად აფასებს), გაზეთის მიერ გაწეული დიდი შრომა წყალს გაატანოს. ეს დემოკრატიის, სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ გამოდის.

ბატონ ლაშას ვუსურვებ გამჭირვალე გახადოს მისი პოზიცია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით გვითხრას, თუ რომელ „ლოჟაში“ზის და თუ ვერ ახერხებს, ამაში საზოგადოება დაეხმარება.

რუსუდან გურული,
ქ. ოზურგეთი

„მაგრამ ღმერთმა არ გასწირა საქართველო“

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო იმ ამომრჩევლებს, რომლებმაც 2012 წლის 1 ოქტომბერს გააკეთეს სწორი არჩევანი.

ძველი თქმულებაა, „ხალხმა თუ ქნა, რას არ იზამს, ზღვაში გადადგამს დედამიწას, ანდა კიდევ ზღვას ხმელეთზე გადმოიყვანს.“ მე, ერთი რიგითი ქართველი, მხცოვანი კაცი ბედნიერი ვარ, ხალხმა თქვა მისი სათქმელი.

აღარ ვასახელებ მიწაზე წაქცეულ, ფეტიშიზმით შეპყრობილ მაღალჩინოსნების გვარ-სახელებს. ოზურგეთმა ღირესეული არჩევანი გააკეთა და ხმა მისცა „ქართულ ოცნებას,“მის ღირსეულ წარმომადგენელს, კარგი ოჯახისშვილს, განათლებულ კაცს ზვიად კვაჭანტირაძეს.

მე პროფესიით აგრონომი ვარ. წლების მანძილზე ვმუშაობდი ანასეულის მეურნეობაში უბნის აგრონომად. წლები თავისას შვრება და მოხუცებულობაც მოვიდა. შევარდნაძის ეპოქა დიდად არ შეცვლილა ჩვენნაირებისთვის საკაშვილის მოსვლის შემდეგაც. ნახევრად მშივრები ვიყავით ჩვენი კატეგორიის ხალხი. წელს ზამთარში გავცივდი და ანთება დამემართა. საკაშვილის ნაქებ „მედალფას“ კლინიკას მივაკითხე. რეგისტრატურაში ავუხსენი მიმღებს: — ანთება დამემართა, პოლისი არ მაქვს, 20 ლარის გადახდა შემიძლია და იქნებ ექიმმა მომისმინოსო. უარით გამომისტუმრეს... ასეთი მაგალითის მოყვანა კიდევ შემიძლია. იმის იმედი რომ არა, ბიძინა ივანიშვილი მოვიდოდა, ალბათ გული გამისკდებოდა, მაგრამ ღმერთმა არ გასწირა საქართველო და სიმართლემ გაიმარჯვა.

ვულოცავ „ქართულ ოცნებას“ და საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს ოზურგეთიდან ზვიად კვაჭანტირაძეს ბრწყინვალე გამარჯვებას.

გივი დობორჯგინიძე,
პენსიონერი, სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი.

მომკივანი ქალები

ნინო ნიკოლაიშვილი

მომკივანი ქალების, ანუ ანას რაზმსა თუ ბრიგადას წინასაარჩევნო პერიოდში სხვა დავალებებთან ერთად, ორი განსაკუთრებული დავალება ჰქონდათ შესასრულებელი. სხვადასხვა სოფელსა თუ ქალაქში ანას რაზმისნაირი ბრიგადები პირველ შემთხვევაში ნაციონალთა მხარდამჭერ აქციებზე „მიშა, მიშას“ ძახილითა და ოვაციებით გამოუხატავდნენ რაზმის მეთაურს ერთგულებას. უკეთეს შემთხვევაში, ეპითეტებად დაღვრილნი სიყვარულს და ერთგულებას მათ უდიდებულესობებს უმტკიცებდნენ და იქმნებოდა „აღმაშენებლები, ფარაონები“... მეორე შემთხვევაში მათ მომკივანი ქალების როლი უნდა ეთამაშათ. ქართული ოცნების მხარდასაჭერ აქციებზე ივანიშვილისა და მისი თანაგუნდელების სალანძღავ სიტყვებსა და კივილს არ იშურებდნენ — რუსეთუმეები, მოღალატეები ... და იდგმებოდა სპექტაკლები, ძირითადად ერთი სცენარით, მხოლოდ მონაწილეები იცვლებოდნენ, რომელთაც შეჰქონდათ თავიანთი შტრიხები ნიჭისა და შესაძლებლობების მიხედვით, ასეთი კადრები საზოგადოებას არაერთხელ უხილავთ ტელევიზიით.

— რა მექნა, რაცხა სოციალურ დახმარებას მაძლევდნენ, მითხრეს, თუ არ ივლი აქციებზე დახმარებას მოგიხსნითო. მეზობელმა მითხრა მოღალატე ხარო და მერე აღარ წავსულვარ, — თავს იმართლებს ერთ-ერთი ზემოურ სოფლელი რესპონდენტი ჩვენთან საუბრისას.

გურიის ტელევიზია რამაზ ნიკოლაიშვილმა კანონიერ მფლობელს დაუბრუნა

გაზეთი „ალიონი“

10 ოქტომბერს გახდა ცნობილი, რომ რეგიონული ტელეკომპანია „გურია“ რამაზ ნიკოლაიშვილმა მის კანონიერ მფლობელს, ხათუნა სიორიძეს დაუბრუნა.

როგორც დღეს ტელეკომპანიის ამჟამინდელმა დირექტორმა, ზურაბ გობრონიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ტელეკომპანიის წილის 100% მფლობელი მისი მეუღლე, ხათუნა სიორიძეა. მან ჟურნალისტებთან გააჟღერა,რომ სიორიძეებსა და ვასილიევას შორის დავაში, მას შემდეგ, რაც სასამართლომ საბოლოოდ დაუბრუნა ტელევიზია სიორიძეებს, საქმეში „მძიმე არტილერია,“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრი, რამაზ ნიკოლაიშვილი ჩაერთო. იგი 2011 წლის 25 ნოემბერს,ხათუნა სიორიძის ბიძას, ზაზა სიორიძეს დაუკავშირდა და ტელეკომპანია „გურიას“ ჩუქება მოსთხოვა. ამ დროისათვის ტელეკომპანია „გურიას“ახალი დირექცია ტელევიზიის გაძლიერებას გეგმავდნენ და ოზურგეთში ცნობილი კინორეჟისორი და პროდიუსერი ელდარ მდინარაძე მიიწვიეს.

ამჟამინდელი პროცესების წინ ელდარ მდინარაძემ გაზეთ „ალიონთან“ განაცხადა, რომ ის ყოველთვის მზად არის ყველაფერი გააკეთოს გურიის ტელევიზიის განვითარებისტვის.

ხელისუფლებამ ძალადობის შედეგად გურიის ტელევიზია მათთვის სასურველ პირებს გადასცა.

მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები მოიგო და რამაზ ნიკოლაიშვილის გუნდი სასტიკად დამარცხდა გურიაში, ნიკოლაიშვილმა იძულებითი ნაბიჯები გადადგა და ამიერიდან ტელეკომპანიას ხათუნა სიორიძის მეუღლე უხელმძღვანელებს.

ზურაბ გობრონიძემ „ალიონთან“ისიც განაცხადა, რომ იგი ამ ეტაპზე ტელევიზიაში საკადრო ცვლილებებს არ გეგმავს. მას შემდეგ, რაც ტელეკომპანია „მზე“ ახალი პროექტებით წარსდგება მაყურებლების წინაშე, პარალელურად მოხდება გურიაში ცნობილი პროდიუსერების მოწვევა და რეგიონის მაყურებელი სულ ახალ ფორმატში იხილავს განახლებულ ტელევიზიას.

სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა

ნუგზარ ოთარიშვილი

არჩევნების დღეს, 1 ოქტომბერს საპატრულო პოლიციამ ავტომანქანა „ვოლკსვაგენ ჯეტას“ მძღოლს ოთარ მახარაძეს იმ დროს უბრძანა გაჩერება, როცა იგი მდინარე ბჟუჟის ხიდზე გადადიოდა. მძღოლმა ხიდის გასვლისთანავე გააჩერა ავტომანქანა. მას ექადიის საარჩევნო უბანზე დამგზავრებული მხცოვანი ამომრჩევლები გადაჰყავდა.

პოლიციამ „დაუმორჩილებლობის“ გამო მძღოლს ავტომანქანა ჩამოართვა და ქობულეთში საჯარო ავტოსადგომზე გადაიყვანა. მძღოლს ამასთანავე ოქმი შეუდგინეს ერთი წლით მართვის უფლების ჩამოსართმევად.

12 ოქტომბერს ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ განიხილა ოთარ მახარაძის სასარჩელო განცხადება.

მოსამართლე მანანა კიკნაძემ არ გაიზიარა პოლიციის მკიცებულებანი და ოთარ მახარაძე გაამართლა.

ფინეთმა და საქართველომ გოლები გაცვალა

მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მე-3 ტურში, ფინეთისა და საქართველოს ეროვნულმა ნაკრებებმა ფრედ - 1:1 ითამაშეს. დასანანია, რადგან ქართველები 56-ე წუთზე დაწინაურდნენ, ორიოდ წუთში კი, რიცხობრივი უპირატესობაც მოიპოვეს, მაგრამ მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა ვერ შეძლეს.

ანგარიში ქართველებმა გახსნეს - დავით თარგამაძის ჩაწოდების შემდეგ, გურამ კაშიასთან ბრძოლისას, ფინელმა მცველმა ბურთი საკუთარ კარში გაიტანა. 63-ე წუთზე, კასპერ ჰამალაინენი შეიჭრა მარცხენა ფრთიდან საჯარიმოში და ნუკრი რევიშვილს ახლო კუთხეში გაუტანა - 1:1.

ჰელსინკიში ნათამაშებმა ფრემ (1:1), ძალიან დაწყვიტა გული საქართველოს ეროვნული გუნდის თავკაც თემურ ქეცბაიას, რომელმაც აღნიშნა, რომ მომგებიანი ანგარიშის ვერშენარჩუნება ფეხბურთელების გამოუცდელობის ბრალია. ამის შესახებ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახური იუწყება.

თემურ ქეცბაია: “გულდასაწყვეტია, რომ სასურველი ანგარიში ვერ შევინარჩუნეთ, მაგრამ ჩემი ბიჭების მონდომებით კმაყოფილი ვარ. გამოცდილება გვაკლია, რადგან გუნდში ბევრი ახალგაზრდაა, მაგრამ სწორედ ასეთ თამაშებში გაიზრდებიან და მომავალში მსგავს შეცდომებს აღარ დაუშვებენ. კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ გული ძალიან დამწყდა, თუმცა, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სტუმრად ვითამაშეთ და ჩვენი მეტოქე კი, სახლში ყოველთვის კარგად თამაშობს.



ბელარუსში უფრო რთული მატჩი გველის. მთავარია, ფეხბურთელებმა კარგად დაისვენონ. ისინი კი, ვისაც დღეს არ უთამაშია, უკეთ მოემზადონ. იმედია, დარჩენილ სამ დღეში ამას შევძლებთ - გავალთ და მომდევნო თამაშს მოვიგებთ. თანაც, ბელარუსები ისევ უქულოდ არიან და თუ 16-ში წარმატებას მივაღწევთ, ჩვენს მიზანს ნაწილობრივ უკვე შევასრულებთ და ჯგუფში მესამე ადგილზე დავმკვიდრდებით”.

გურამ კაშიას თქმით, ფრე ცუდი შედეგი არ არის და ბელარუსში გუნდი ცუდ ხასიათზე არ მიემგზავრება:

“ამ თამაშის მოგება შეგვეძლო. სამწუხაროა, რომ ჩვენს კარში მიღებულმა ბურთმა ცოტა აგვრია. უფრო ყურადღებით უნდა ვყოფილიყავით. თუმცა, ვფიქრობ, ეს ფრე ცუდი შედეგი არ არის. ამ ეტაპზე, ჯგუფში მესამე ადგილზე ვართ. ახლა, მთავარია, მომდევნო მატჩისთვის კარგად მოვემზადოთ და ძალები აღვიდგინოთ. რაც მთავარია, ბელარუსში ცუდ ხასიათზე არ მოვდივართ”.

საქართველოს ნაკრები ბელარუსში შაბათ დილას გაემგზავრა და მინსკში გუნდი სასტუმრო „ქროუნ პლაზაში“ დაბინავდა.

განცხადებები

შპს „სოკარ ჯორჯია გურია“ აცხადებს კონკურსს კვალიფიციური გაზით შემდუღებლების მიღებაზე. სამუშაოზე მიიღებიან 18-დან 50 წლის ასაკამდე პირები, რომლებსაც აქვთ გაზით შედუღებაზე მუშაობის გამოცდილება და შემდუღებლისკვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა. ანაზღაურება შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ. ოზურგეთი, ყაზბეგის III შეს. №9.

ტელ: (577) 105 744; (577) 105 463; (577) 105 675.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი გურია“-ს დირექცია.

ბუნებრივი გაზის აბონენტების საყურადღებოდ

გადაუდებელი პროფილაქტიკური აღდგენითი სამუშაოების ჩატარების მიზნით, 2012 წლის **18 ოქტომბრის 9 საათიდან 29 ოქტომბრის 9 საათამდე** შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“-ს ოზურგეთის სერვისცენტრის სამოქმედო არეალში შემავალი ქ. ოზურგეთის ქუჩებსა და მიმდებარე სოფლებს შეუწყდებათ ბუნებრივი გაზის მიწოდება.

გაზის მიწოდება სამუშაოების დასრულების შემდეგ ეტაპობრივად გრაფიკის შესაბამისად აღდგება, რაზედაც წინასწარ გაცნობებთ.

შპს „სოკარ ჯორჯია გურია“-ს ოზურგეთის სერვის ცენტრი.

რაგბი

„არწივებმა“ „ყოჩებს“ ძლიეს

ოზურგეთის „არწივებმა“ქ. თბილისში „ა“ლიგის მორიგი შეხვედრა „ყოჩებთან“გამართეს და მეტად დაძაბულ ბრძოლაში მასპინძლებს სძლიეს 23 : 12.

ზვიად უნგიაძე: –„არწივებმა“ თავიდანვე აუღეს ალღო სათამაშო სიტუაციას და დაწინაურდნენ. ბრძოლის ჟინი ბოლომდე შეინარჩუნეს და გაიმარჯვეს. გამოირჩეოდნენ ლევან შათირიშვილი, ლევან კოჩალიძე, ენვერ ჭკუასელი, გიორგი ღლონტი, გიორგი ტუღუში, ოთარ მჟავია. მწვრთელმა მამუკა ჯანაშიამ სწორი ტაქტიკა აირჩია, რამაც გუნდს სასურველი შედეგი მოუტანა. „არწივებს“სამომავლოდ ექნებათ შანსი უმაღლეს ლიგაში გადასვლაზე იფიქრონ. ამას კი სამომავლოდ, უკეთესი ფინანსური ბაზა სჭირდება. კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას ბიზნესმენებს მერაბ ვასაძეს და ვასილ ბეშიტაიშვილს მხარდაჭერისათვის.

თავისუფალი ჭიდაობა

გოჩა გოგიჩაიშვილის ტურნირზე

ქ. ბათუმში ჩატარდა გოჩა გოგიჩაიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 1996-98 წლებში დაბადებულთა შორის, სადაც წარმატებას მიაღწიეს ოზურგეთის სასპორტო სკოლის მოჭიდავეებმა.

50 კგ. წონით კატეგორიაში კახა ირემაძემ II ადგილი დაიკავა, ხოლო ზურაბ ირემაძემ –III. (მწვრთნელი დავით მაჭარაშვილი).

ლანჩხუთშიც კარგი შედეგი აჩვენეს

7 ოქტომბერს ქ. ლანჩხუთში ჩატარდა როინ დობორჯგინიძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 1997-99 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის. აღნიშნულ ტურნირში ოზურგეთის სასპორტო სკოლის ნაკრები გუნდი მონაწილეობდა. წონითი კატეგორიების მიხედვით საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:

46, 76 კგ-ში რევაზ ბორჩხაძე, ედვარდ ღლონტი–I ადგილი;

26,38, 46, 50, 58 კგ-ში გოჩა ირემაძე, საბა მამალაძე, ტრისტან ქინქლაძე, იური ნიკოლაიშვილი, გია გიორგაძე, –II ადგილი;

32,35, 38, 54 კგ-ში თამაზ ცეცხლაძე, საბა ჯიმშერიძე, შოთა სალარიძე, ბადრი ლომთაძე– III ადგილი. (გუნდის მწვრთნელი დავით მაჭარაშვილი)

ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ოზურგეთის რეგიონალური ცენტრის ყოფილი თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნაილი თოხაძეს მეუღლის **ლერი რუსიძის** გარდაცვალების გამო.

აზა კალანდაძე, მანანა ჯაყელი, ციალა გობრონიძე, მერი ძნელაძე, ცაცო, გურამ მუჯირები თანაუგრძნობენ დოდო ყიფიანს შვილის **აკაკი აბაშმაძის** გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეგობრები ეთერ ქადეიშვილი, გულსუნდა მახარაძე, გულიკო ლომინაძე, ნინელი კალანდაძე, ნინო სალუქვაძე, ნუგზარ ასათიანი თანაუგრძნობენ დოდო ყიფიანს შვილის **აკაკი აბაშმაძის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი

ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru